N8/N222

21.01.2022.

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, ნიკოლოზ მეძმარიაშვილი, საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01008013014, მოქმედი როგორც შპს მ2 ნუცუბიძეზე 2-ის (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405374982) (ყოფილი შპს ოპტიმა უძრავი ქონების გადაცემის შესახებ შეთანხმების მიწის (უძრავი ქონების) გადაცემის საფუძველზე) (შემდგომში - კომპანია) დირექტორი (შემდგომში - მარწმუნებელი) უფლებამოსილებას ვანიჭებ:

გიორგი ქევანიშვილს (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 60002009962)

(შემდგომში - რწმუნებული)

რათა მან განახორციელოს შემდეგი ქმედებები მარწმუნებლის და კომპანიის სახელით:

- რწმუნებული უფლებამოსილია, წარმოადგინოს მარწმუნებელი და კომპანია, დაიცვას მარწმუნებლის და კომპანიის ინტერესები თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურთან, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთის მდებარე ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. #125ა-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.02.025.248; 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.249; 01.14.02.025.247; 01.14.02.025.245;) არქიტექტურული პროექტის/პროექტების შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.
- რწმუნებული უფლებამოსილია უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ნებისმიერ პროცედურასთან მიმართებით, წარადგინოს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, ინფორმაცია, მოითხოვოს მშენებლობის ნებართვა, ჩაიბაროს მომზადებული პასუხი;
- რწმუნებული უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებებს/განაცხადებს ჩაიბაროს ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული მინდობილობა ასევე გულისხმობს რწმუნებულის ნებისმიერ, ამ მინდობილობაში პირდაპირ გაუთვალისწინებელ უფლებამოსილებასაც, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთებზე არქიტექტურული პროექტის/პროექტების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის.

- მინდობილობა გაცემულია 2022 წლის 21 იანვარს და ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შპს მ2 ნუცუბიძეზე 2

ნიკოლოზ მემმარიაშვილი

დირექტორი

/ნ. მ/

